საკანონმდებლო წინადადება სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის სპორტის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბ-ნ ირაკლი კობახიძეს

ავტორები:

კლეოპატრა ქარუმაშვილი - ააიპ „ოლიმპიელი"-ს დამფუძნებელი და დირექტორი.

მის.: [redacted]

ტელ.: [redacted]

გიორგი გაბუნია - სპორტული სამართლისა და მენეჯმენტის სამეცნიეროკვლევითი ცენტრის თანადამფუძნებელი და დირექტორი.

მის.: [redacted].

ტელ.: [redacted].

თბილისი

2018

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 12838
22.08.2018. ფურცელი 4

ცვლილებების მიზეზი:

საზოგადოებაში გაზრდილია არაჯანსაღი ცხოვრების წესისკენ მიდრეკილება, გახშირებულია ძალადობასთან და ნარკომანიასთან დაკავშირებული პრობლემები.

ასევე აშკარად მომატებულია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც ერთის მხრივ გამოწვეულია ცხოვრების არაჯანსაღი წესით.

ზემოთ აღნიშნულის გავრცელება განსაკუთრებით საშიშია ბავშვებსა და ახალგაზრდებში, ასევე უფრო საფრთხილო არის სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებთან მიმართებაში, რადგან ხშირ შემთხვევაში, სოციალურად დაუცველი ოჯახები ვერ უზრუნველყოფენ განვითარებისთვის საჭირო იმ პუნქტებს, რაც აუცილებელია ახალგაზრდა ადამიანისთვის.

ფინანსური სიდუხჭირე იწვევს დაბალ სოციალურ ფონს, რაც აისახება ბავშვებისა და ახალგაზრდების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ასევე, სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის პრობლემას წარმოადგენს სპორტში ჩართულობაც, ოჯახის ფინანსური მდგომარეობის გამო.

ხშირია სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების რეალიზების დაბალი მაჩვენებელი, რასაც იწვევს თავისუფალი დროის არანოყოფიერად გამოყენება, აღნიშნული შეიძლება გახდეს ახალგაზრდებში და ბავშვებში აგრესიის მომატების მიზეზი, რაც შემდგომში დანაშაულის ჩადენის წინაპირობა ხდება.

2017 წლის სტატისტიკა არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან დაკავშირებით გვაჩვენებს რომ;14-17 წლამდე 197 ახალგაზრდა იხდის სასჯელს ჩადენილი დანაშაულისთვის, გაცილებით დიდია 18-24 წლამდე მსჯავრდებული ახალგაზრდების რაოდენობა; ამ ასაკში მათი რაოდენობა 2406-ს აღწევს.

თუმცა ეს არ გვაძლევს ბავშვებისა და ახალგაზრდების მიერ ჩადენილი დანაშაულის საერთო სურათს, ვინაიდან; ხშირად ხდება მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულსითვის განრიდების ან მედიაციის გამოყენება, 2017 წლის მონაცემებით განრიდება 14-21 წლამდე ახალგაზრდებში გამოყენებულ იქნა 910-ჯერ, რაც აღემატება წინა წლების მაჩვენებელს.

რეგიონების მიხედვით, განრიდება ყველაზე ხშირად გამოყენებულია თბილისში; 2017 წლის მდგომარეობით ეს ციფრი აღწევს 450-ს, რაც საერთო მაჩვენებლის თითქმის ნახევარს შეადგენს.

აღნიშნული ფაქტი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ 14-21 წლამდე ახალგაზრდებში იზრდება აგრესიის მაჩვენებელი, რაც იწვევს მათ მიერ სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ჩადენას.

საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, სპორტი არის საუკეთესო საშუალება მანკიერი თვისებების დათრგუნისთვის, შრომისმოყვარეობის გაზრდისთვის, რაც აუცილებლად აისახება ბავშვისა და ახალგაზრდის განათლების მაჩვენებლზე, ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ასევე დადებითად აისახება ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც, რადგან უარყოფითი ენერგიის დახარჯვა ხდება სპორტული აქტივობის დროს.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ამ ასაკში ჩადენილი დანაშაული შესაძლოა განპირობებული იყოს უფრო ადრეულ ასაკში, ბავშვობაში დაგროვილი აგრესიით, მიღებული სტრესით ან ადრეულ ასაკში არაჯანსაღ გარემოში მოხვედრის გამო.

სპორტის დახმარებით შესაძლებელია, რომ ახალგაზრდები, რომლებიც ვერ არიან უზრუნველყოფილნი განვითარებისთვის საჭირო ყველა კომპონენტით, მათ შევუქმნათ გასაქანი იმისა, რომ საკუთარი ენერგია ჩადონ დადებით ქცევაში.

კრიმინალის მაჩვენებელთან ერთად, ბავშვებსა და ახალგაზრდებში იზრდება დაავადებების სტატისტიკური მაჩვენებელი. 2016 წლის მონაცემებით; 0-14 წლამდე 581 000 ბავშვი დაავადდა სხვადასხვა დაავადებით, მათ შორის გრიპი და მწვავე რესპირატორულით-458 000, რაც გვაძლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ ჯანსაღ ცხოვრების წესს და კონკრეტულად სპორტს შეუძლია მსგავსი დაავადებების რაოდენობის შემცირება და შემდგომი პრევენცია.

ქვეყანაში გაზრდილია ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება ახალგაზრდებში, რაც აშკარად გამოჩნდა ბოლო წლების მიმდინარე პროცესებში.

ცვლილებების არსი:

„სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი:

დაემატოს მე-3 პუნქტი: სამინისტროს და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებს უფლება აქვთ 6-18 წლამდე სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის სპოტში ჩართულობა უზრუნველყონ უფასოდ თვეში50 ლარამდე ოდენობით.

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი:

დაემატოს მე-2¹პუნქტი: არაფულად სოციალურ დახმარებად შეიძლება ჩაითვალოს ბავშვი ან ახალგაზრდა ბენეფიციარისთვის სპორტში ჩართულობისთვის გაცემული დაფინანსება.

დასაბუთება:

ვფიქრობთ, აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს და შესაძლებელს გახდის სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებს შევუქმნათ გასაქანი იმისა, რომ საკუთარი ენერგია ჩადონ დადებით ქცევაში.

იქიდან გამომდინარე, რომ სტატისტიკურად საქართველოში 0-დან-16 წლამდე სულ 33 600 სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ბავშვი და ახალგაზრდაა, კიდევ უფრო მცირეა სპორტულად აქტიური ბავშვების რაოდენობა, სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით დიდ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული მათთვის სპორტში ჩართულობის უფასოდ უზრუნველყოფა. ამასთანავე, ნორმა არ აწესებს იმპერატიულ მოთხოვნას სამინისტროს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის აუცილებლად უფასოდ უზრუნველყონ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის სპორტში ჩართულობა, არამედ, აღნიშნული ნორმა უფლებას აძლევს შესაბამის ორგანოებს მსგავსი ფორმით განახორციელონ სპორტში ახალგაზრდების ჩართულობა მათი სურვილის შემთხვევაში.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ნორმა აწესებს ლიმიტს თვეში 50 ლარამდე ოდენობით, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაბამის ორგანოებს უფლება აქვთ მხოლოდ სპორტში ჩართულობისთვის თვეში 50 ლარამდე ხარჯი დაუფაროს ბენეფიციარს.

საკანონმდებლო წინადადება ითვალისწინებს ცვლილების განხორციელებას „სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონშიც, კერძოდ, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტში ჩართულობისათვის შესაბამისი ორგანოების მიერ გაწეული ხარჯი ჩაითვალოს არაფულად სოციალურ დახმარებად.

მიგვაჩნია, რომ შემოთავაზებული ცვლილებები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ახალგაზრდებს შეუმსუბუქებს სოციალურ მდგომარეობას, ამასთანავე, ხელს შეუწყობს მათ გაჯანსაღებასა და განვითარებას.

კლეოპატრა ქარუმაშვილი

გიორგი გაბუნია

22.08.2018